მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

სამშენებლო ხელშეკრულებები

საწარმო სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს, როგორც ამონაგებს და ხარჯს, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების

სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (პროცენტული შესრულების მეთოდით), თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება (შესაძლებელია სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება).

საწარმო აღნიშნულ მეთოდს იყენებს ხელშეკრულებების ჯგუფის მიმართ (ერთი მშენებლობის შემადგენელი ნაწილების (ბინების) მყიდველებთან დადებული ხელშეკრულებები), რათა ზუსტად აისახოს ხელშეკრულებების ჯგუფის შინაარსი.

აღნიშნული მეთოდით სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებისა და დანახარჯების აღიარებისას, საწარმო რამდენიმე დამკვეთთან დადებულ სამშენებლო ხელშეკრულებების ჯგუფს მიიჩნევს ერთ სამშენებლო ხელშეკრულებად.

საწარმო, ხელშეკრულებების ვადის განმავლობაში, პერიოდულად გადახედავს და, თუ აუცილებელია, ცვლის ამონაგებისა და დანახარჯების შეფასებებს, სამშენებლო ხელშეკრულებების სამუშაოების შესრულების მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით.

საწარმო ხელშეკრულების შესრულების სტადიას განსაზღვრავს პროპორციულობის მეთოდით, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით. მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები არ მოიცავს მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორცაა, დანახარჯები მასალებზე ან წინასწარ გადახდილი თანხები (ავანსები);

დამკვეთებისგან მიღებული ეტაპობრივად გადახდილი თანხები ან ავანსები, ხშირ შემთხვევაში, არ ასახავს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

საწარმო აქტივად აღიარებს მომავალში ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორცაა, მაგალითად მასალებზე დანახარჯი, ან გადახდილი ავანსი, თუ მოსალოდნელია, რომ აღნიშნული დანახარჯი მთლიანად ანაზღაურდება.

საწარმომ მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებს ნებისმიერი დანახარჯს, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელი არ არის.

თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც საწარმოს უკვე აღიარებული აქვს როგორც სახელშეკრულებო ამონაგები, საწარმომ ამგვარი თანხა უნდა აღიაროს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც სახელშეკრულებო ამონაგების კორექტირება.

2.11 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.12 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს.

როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „ჰორიზონს ჯგუფი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სპეც- ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2017		97,490	416,203	78,908	137,085	11,475	812,780
შემოსვლა	430,847	67,871	39,106	36,284	23,608	347	598,063
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018		528,337	484,074	118,014	173,369	35,082	1,410,843
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2017		1,300	99,063	32,426	10,967	2,295	156,352
პერიოდის ცვეთა	4,245	49,323	27,379	20,804	4,636	11,361	117,748
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018		5,545	148,386	59,805	31,771	6,931	274,100
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2017		96,190	317,140	46,482	126,118	9,180	656,428
31 დეკემბერი 2018		522,792	335,688	58,209	141,598	28,152	1,136,743

შპს „ჰორიზონს ჯგუფი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბუღალტრო პროგრამა	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	3,901	3,901
დამატება	-	-
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	3,901	3,901
აკუმულირებული ამორტიზაცია		
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	164	164
ამორტიზაცია 2018	301	301
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	465	465
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	3,737	3,737
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	3,436	3,436

6. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შპს "გოოლ" (წილი 40%)	98,748	98,748
სულ	98,748	98,748

7. მარაგები

მარაგები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
გასაყიდი საქონელი	-	34,415
ნედლეული და მასალები	336,602	512,567
მასალები გზაში	233,154	-
დაუმთავრებელი წარმოება	2,983,011	1,377,653
გასაყიდად გამიზნული ბინები და კომერციული ფართები	2,703,020	2,389,685
სულ	6,255,787	4,314,320

შპს „ჰორიზონს ჯგუფი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

8. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
გრძელვადიანი		
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	3,710,183	3,743,075
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებზე დარიცხული პროცენტები	1,591,228	845,903
	5,301,411	4,588,978
მოკლევადიანი		
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	25,000	6,000
	25,000	6,000
სულ სესხები	5,326,411	4,594,978

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მოთხოვნები ბინების რეალიზაციიდან	4,282,729	4,670,501
მოთხოვნები სარემონტო მომსახურებიდან	1,220,125	264,486
სავაჭრო მოთხოვნების დაგროვილი გაუფასურების ზარალი	(1,398,782)	(454,639)
მოთხოვნები სახლის მომსახურებიდან	57,782	-
მოთხოვნები სასტუმროს მომსახურებიდან	12,068	-
სხვა მოთხოვნები	50,579	45,449
სულ	4,224,501	4,525,797

10. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	95,803	232,367
პრეავტორიზაციის ფუნქციის სარეზერვო თანხა	9,950	-
მისაღები დივიდენდები მეკავშირე საწარმოდან (შპს გოოლ-ის მოგების 40%)	121,529	-
სულ	227,282	232,367

შპს „ჰორიზონს ჯგუფი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

11. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაღდი ფული სალაროში	20,405	1,827
ფულადი სახსრები მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	117,466	304,302
სულ	137,871	306,129

12. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
პროექტი I (ჰორიზონს კომფორტი)	-	654,394
პროექტი II (ჰორიზონს ელეგანსი)	7,988,736	8,739,040
პროექტი III (ჰორიზონს დელუქსი)	674,479	40,884
პროექტი IV (ჰორიზონს კლაბი)	1,509,583	-
სულ	10,172,798	9,434,318

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	527,924	184,414
საიჯარო ვალდებულებები	8,692	-
ვალდებულებები მიწის შესყიდვიდან	270,380	361,271
გადასახდელი ხელფასები	15,317	41,897
მიღებული ავანსები	81,695	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	780	1,200
სულ	904,788	588,782

14. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით. საგადასახადო ვალდებულება მოიცავს ასევე გადავადებული შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებულ დამატებული ღირებულების გადასახადს. (2018-ში - 683 817 ლარს, 2017-ში - 2 383 665 ლარს ვალდებულების სახით).

15. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

2017 წელს ანარიცხი შექმნილია შპს "ჰორიზონს ჯგუფი"-ს საგადასახადო შემოწმების შედეგების გადანგარიშებაზე, დასკვნაში მითითებული დღე-ს, საშემოსავლოსა და ქონების გადასახადის ჯარიმისთვის, რომელიც ჯამურად შეადგენდა 98 090 ლარს. 2018 წლის დეკემბერში აღნიშნული ჯარიმის დიდი ნაწილი მოიხსნა და კომპანიას საბოლოოდ დაერიცხა 21 204 ლარი.

2018 წელს ანარიცხი (750 000 ლარი) შექმნილია ბინების ერთ-ერთი მყიდველისთვის (შპს ინჯოი ბათუმი), ხელშეკრულების პირობების დროულად შეუსრულებლობის გამო 2019 წელს მიღწეული ურთიერთშეთანხმების შედეგად, 2018 წელს მყიდველისათვის მიყიდული 16 ერთეული ბინის უკან დაბრუნების პირობის დადების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ბინების უკან დაბრუნება, მყიდველისათვის გარკვეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. (იხილეთ ასევე შენიშვნა 24).

16. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო ვალდებულებას წარმოადგენს მეკავშირე საწარმოსგან მიღებული სესხი 70 000 ლარის ოდენობით.

17. შემოსავალი

შემოსავალი 2018, 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
შემოსავალი ბინების რეალიზაციიდან	13,373,508	6,946,598
შემოსავალი I პროექტიდან	5,351,072	4,450,154
შემოსავალი II პროექტიდან	7,137,963	2,496,444
შემოსავალი III პროექტიდან	7,849	-
შემოსავალი IV პროექტიდან	876,624	-
შემოსავალი გაწეული სამშენებლო მომსახურებიდან	207,666	504,194
სხვა საოპერაციო შემოსავლები	324,868	243,164
სულ	13,906,042	7,693,956

18. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2018, 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
რეალიზებული ფართის თვითღირებულება	4,149,615	3,148,538
გაწეული სამშენებლო მომსახურების თვითღირებულება	148,942	541,628
რეალიზებული საქონლის/მასალების თვითღირებულება	-	107,274
სულ	4,298,557	3,797,440

19. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	1,313,129	875,544
ცვეთის ხარჯი	47,922	33,961
საკანცელარიო ხარჯები	20,944	7,477
სამეურნეო ხარჯები	26,406	13,513
კომუნიკაციის ხარჯები	803	-
საკონსულტაციო ხარჯები (ბუღალტერია, იურისტი და ა.შ.)	71,465	44,228
სამშენებლო მომსახურების ხარჯი	3,485	-
კომპიუტერული უზრუნველყოფის ხარჯი	3,750	-
საჯარო რეესტრის ხარჯი	24,173	12,410
აშწისა და ლიფტის მომსახურება	12,477	559
საიჯარო ქირა	3,000	-
საწვავი	2,834	10,177
მიმდინარე რემონტის ხარჯი	7,321	5,131
დაზღვევა	5,333	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,004	-
სასტუმრო ხარჯი	220,032	620
ტრანსპორტირების ხარჯი	10,279	20,536
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი	22,851	-
კომუნალური ხარჯები	33,452	18,638
ბანკის მომსახურების ხარჯი	17,005	11,693
ჯარიმების მშენებლობის დარგში	9,260	550
საგადასახადო ხარჯი	17,969	7,233
სხვა საოპერაციო ხარჯები	24,493	22,068
სულ	1,900,388	1,084,338

20. სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი

სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
რეკლამის ხარჯი	509,436	279,389
საშუამავლო მომსახურების ხარჯი	369,674	438,168
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	772,362	99,274
სულ	1,651,472	816,831

21. სხვა ფინანსური შემოსავალი

სხვა ფინანსური შემოსავალი 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	748,442	618,978
	748,442	618,978

სხვა ფინანსურ შემოსავალს შეადგენს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების დარიცხული პროცენტები.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2018, 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2018 წელს განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

შპს „ჰორიზონს ჯგუფი“ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საქონლის/მომსახურების მიწოდება:

	2018	2017
სხვა დაკავშირებული მხარეები	10,263	-
სულ	10,263	-

სესხის გაცემა:

	2018	2017
სხვა დაკავშირებული მხარეები	19,000	-
სულ	19,000	-

**დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:
მოთხოვნები:**

	2018	2017
მეკავშირე საწარმო:		
სავაჭრო მოთხოვნა	43,849	43,849
მისაღები პროცენტები	1,492	1,492
მისაღები დივიდენდები	121,529	-
სხვა დაკავშირებული მხარეები:		
სხვა მოთხოვნები	30,577	-
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა:		
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები	81,447	234,443
დამფუძნებლები:		
სავაჭრო მოთხოვნა	97,654	97,654
გაცემული სესხები	3,709,282	3,742,174
სესხებზე დარიცხული მისაღები პროცენტები	1,586,022	843,211
სულ	5,671,852	4,728,380

ვალდებულებები:

	2018	2017
მეკავშირე საწარმო:		
სასესხო ვალდებულება	70,000	-
სხვა დაკავშირებული მხარეები:		
სავაჭრო ვალდებულება	22,000	-
დამფუძნებლები:		
სხვა ვალდებულება	-	98,748
სულ	92,000	98,748

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2018	2017
დირექტორის ანაზღაურება	317,644	150,000
სხვა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	514,559	300,081
სულ	808,086	470,681

23. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები.

შპს ჰორიზონს ჯგუფმა დაარღვია ერთ-ერთ მყიდველ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები და გადააჭარბა, შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბინების ჩაბარების ვადას. აღნიშნულის გამო 2019 წელს შედგა ზეპირი მოლაპარაკება შპს ჰორიზონს ჯგუფსა და აღნიშნულ მყიდველ კომპანიას შორის, რომლის თანახმადაც შპს ჰორიზონს ჯგუფმა აღნიშნულ მყიდველისაგან უკან უნდა დაიბრუნოს, 2018 წლის მანძილზე მასზე გაყიდული ყველა ბინა და მყიდველს უკან დაუბრუნოს მყიდველის მიერ ბინების შეძენისას გადახდილი, ბინების ღირებულების თანხა. ამასთანავე, შეძენის ღირებულების გარდა, ამ კომპანიას შპს ჰორიზონს ჯგუფმა უნდა აუნაზღაუროს ამ კომპანიის მიერ გაწეული დამატებითი ხარჯებიც. შპს ჰორიზონს ჯგუფის მიერ, დამატებით ასანაზღაურებელი თანხა არ წარმოადგენს ფიქსირებულ თანხას, რადგან იგი დამოკიდებულია იმაზე თუ როდის მოხდება აღნიშნული ბინების დაბრუნება. მიუხედავად ამისა, შპს ჰორიზონს ჯგუფმა ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე, უკვე დაბრუნებულ ბინებზე გადახდილი დამატებითი ანაზღაურების საფუძველზე დაყრდნობით ყველა ასეთი უკან დასაბრუნებელი ბინისთვის შექმნა ანარიცხი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ ასევე შენიშვნა 24 და შენიშვნა 15.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის სასამართლო დავა არ მიმდინარეობს.

24. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 17 აპრილს შპს ჰორიზონს ჯგუფი-ს მიერ დაფუძნებულ იქნა შპს ჰორიზონს ჯგუფი-ჩაქვი 70%-იანი მონაწილეობით.

2019 წლის აპრილი-მაისის პერიოდში სს ლიბერთი ბანკისგან კომპანიას მიღებული აქვს სესხი 800,000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის დაფარვა ეტაპობრივად მიმდინარეობს.

2019 წლის დეკემბერში სესხის სახით აღებულია ასევე 254 020 ლარი, მათ შორის 156 320 ლარი დაკავშირებული მხარეებისგან.

შპს ჰორიზონს ჯგუფმა 2018 წლის მარტში დაიწყო სავაჭრო ურთიერთობა შპს ინჯოი ბათუმთან. 2018 წლის მარტიდან 2018 წლის აგვისტოს ჩათვლით შპს ჰორიზონს ჯგუფმა შპს ინჯოი ბათუმს მიაწოდა 813 306 აშშ დოლარის (1 970 152 ლარი) ღირებულების ბინები „პირველი პროექტიდან“, 475 551 აშშ დოლარის (1 172 899 ლარი) ღირებულების ბინები „მეორე პროექტიდან“ და 18 298 აშშ დოლარის (45 356 ლარი) ღირებულების რემონტი. შპს ინჯოი ბათუმისგან 2018 წლის მარტიდან სექტემბრის ჩათვლით მიღებულია სულ 1 220 680 აშშ დოლარის ექვივალენტი (2 984 438 ლარი).

წლის ბოლოს დარჩენილია 765 000 ლარის ოდენობის მოთხოვნა. (იხ. შენიშვნა 9).

იმის გამო, რომ შპს ჰორიზონს ჯგუფმა ვერ მოახდინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ბინების ჩაბარება, შპს ინჯოი ბათუმმა მოითხოვა ბინების უკან დაბრუნება. ზეპირი მოლაპარაკების საფუძველზე, ბინების დაბრუნება ხდება მაშინ, როცა შპს ჰორიზონს ჯგუფი დასაბრუნებელი ბინის ახალ მყიდველს მოიძიებს. დაბრუნებები დაიწყო 2019 წლის მარტში. 2018 წლის განმავლობაში შპს ჰორიზონს ჯგუფის მიერ შპს ინჯოი ბათუმზე რეალიზებულია 1 425,4 კვ.მ ფართობი, სულ 16 ერთეული ბინა.

2019 წელს, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე შპს ჰორიზონს ჯგუფმა შპს ინჯოი ბათუმისგან უკან დაიბრუნა 563,70 კვ.მ ფართობი, სულ 9 ერთეული ბინა, რომელთაგან მხოლოდ ერთი - 126,5 კვ.მ ფართობის კომერციული ფართი არ არის გაყიდული მესამე მხარეზე.

შპს „ჰორიზონს ჯგუფი“

2018 საანგარიშო წლის საქმიანობის მიმოხილვა

ბათუმი
2019

სარჩევი


1. ზოგადი ინფორმაცია	3
1.1. კომპანიის შესახებ	3
1.2. დარგის მიმოხილვა.....	4
2. 2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა.....	5
2.1. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები.....	5
2.2. საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი.....	5
3. საწარმოს გარემო და განვითარების პერსპექტივები.....	6
3.1. შიდა სტრუქტურა და დასაქმება	6
3.2. მომხმარებლები	6
3.3. ეკოლოგიური საკითხები.....	7
3.4. მომავალი პერიოდების აქტივობები.....	7
4. საწარმოს რისკები.....	8
4.1. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა.....	8
4.2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა.....	9

1. ზოგადი ინფორმაცია


1.1. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰორიზონს ჯგუფი“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საწარმომ სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 2013 წლის 20 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 445431676. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №49. საწარმოს დამფუძნებლებს წარმოადგენენ საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირები: კახა დევამე (61001032437) – 33,34%, დიანა დევამე (61001034806) – 33,33% და მერი საითამე (61006004802) – 33,33%.

საწარმოს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სახლების მშენებლობა. 2018 წელს საწარმოს გააჩნდა 4 ობიექტი, რომელთაგან მხოლოდ 1 არის დასრულებული. საწარმომ აღნიშნული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა 2017 წლის ნოემბერს დაასრულა, სადაც ფუნქციონირება დაიწყო სასტუმრომ (აპარტოტელმა), რომლის მართვასაც ახორციელებს კომპანია.




ხოლო დანარჩენ ობიექტებზე მიმდინარეობდა სამუშაოები. მათ შორის ერთ-ერთი ობიექტი წარმოადგენს მსოფლიო ბრენდის Trip by Windham-ის სახელის ქვეშ მშენებარე მრავაფუნქციურ კომპლექსს, რომელიც მოიცავს სასტუმროს, აპარტამენტებს, რესტორნებს, დახურულ და ღია აუზებს, სავაჭრო და გასართობს ობიექტებს. ამ უკანასკნელის დასრულება იგეგმება 2022 წლის ბოლოსათვის.



1.2. დარგის მიმოხილვა

საქართველოში ტურიზმი, როგორც დარგი წლიდან წლამდე ვითარდება. ამის ნათელი მაგალითია ტურისტების ზრდა ბოლოს 5 წლის მანძილზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (www.gnta.ge) მონაცემებით 2014-2018 წლებში საქართველოში შემოვიდა 35 მილიონზე მეტი სტუმარი, ხოლო ამავე პერიოდში აჭარაში მოგზაურთა რაოდენობა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით შეადგენდა 10,7 მილიონ სტუმარს.



ყოველწლიურად მზარდი ნაკადის გამო აჭარაში წლიდან წლამდე ვითარდება აპარტოტელების ტიპის მრავალსართულიანი ბინების მშენებლობა. როგორც სტატისტიკამ აჩვენა, უცხოელ ტურისტებს, ძირითადად ყოფილი პოსტ საბჭოთა ქვეყნებიდან აქვთ შესაძლებლობა და სურვილი შეიძინონ სასტუმროს ნომრების ტიპის ბინები (დაახლ. 35-45 კვ.მ.). ამით მათ უზრუნველყოფენ ერთი მხრივ უძრავი ქონება ზღვისპირეთში, მეორეს მხრივ სხვა ტურისტების ხარჯზე აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ ამ ბინების გაქირავება მმართველი კომპანიების მეშვეობით და მიიღონ დამატებითი შემოსავალი მაშინ, როდესაც მათი აპარტამენტი დაკეტილია. სწორედ ამიტომ, ჩვენი გაყიდვები პირდაპირკავშირშია უცხოელი ტურისტების ზრდასთან, რასაც მოწმობს ჩვენს ობიექტებზე (მ.შ. მშენებარე ობიექტებზე) მყიდველების სტატისტიკა (იხ. ქვემოთ). ცნობისათვის, 2018 წლის ბოლოსათვის ჩვენი აპარტოტელის გარდა ქ. ბათუმში ფუნქციონირებდა მხოლოდ სამშენებლო კომპანია „ორბის“ აპარტოტელები, ხოლო 2019 წლიდან ამ ჩამონათვალს დაემატა „ალიანსი“.

2. 2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

2.1. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2018 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

	2018	2017
კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები:		
მთლიანი მოგების მარჟა	69%	51%
საოპერაციო მოგების მარჟა	44%	26%
წმინდა მოგების მარჟა	37%	22%
კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი	97%	52%

2018 წელს კომპანიას საკმაოდ კარგი საოპერაციო შედეგი ჰქონდა - მისმა საერთო მოგებამ შეადგინა 9 607 485 ლარი, რაც წინა წლის შედეგის 147%-იანი ზრდაა, რისი მიღწევაც გაზრდილი სამშენებლო აქტივობითა და გაზრდილი რეალიზაციებითაა მიღწეული.

ამასთანავე გაზრდილია კომპანიის საოპერაციო ხარჯებიც დამატებითი სარეკლამო და სახელფასო ხარჯების წარმოშობით.

2.2. საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2018 წლის ბოლოს შპს “ჰორიზონს ჯგუფი”-ს აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 18 552 151 ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 3 473 865 ლარით, ძირითადად, საბრუნავი აქტივების - გასაყიდი ბინების ზრდის ხარჯზე.

	2018	2017
კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებლები:		
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.90	0.89
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.41	1.27
ვალდებულების საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი	1.97	2.95

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის დინამიკიდან გამომდინარე ჩანს, რომ კომპანიის განვითარებას სწორი მიმართულება აქვს და მას არ გააჩნია ლიკვიდურობის პრობლემა. რაც შეეხება სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტს, მისი გაანგარიშებისას მიმდინარე აქტივებიდან ამოღებულია მარაგები და შემცირება მაინც არ ფიქსირდება.

3. საწარმოს გარემო და განვითარების პერსპექტივები


3.1. შიდა სტრუქტურა და დასაქმება

საწარმო წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს, რომლის მართვა და წარმომადგენლობით უფლებამოსილება მინიჭებული აქვს დირექტორს, ხოლო თითოეული რგოლის მართვის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს განყოფილების ხელმძღვანელებს, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან დირექტორს.

2018 წლის განმავლობაში საწარმოში დასაქმებულ პირთა რაოდენობა მერყეობდა 70-დან 150 დასაქმებულის ფარგლებში. ამის ძირითადი მიზეზია სამშენებლო მოედანზე სხვადასხვა სამუშაოების სირთულიდან გამომდინარე მუშახელის რაოდენობის ცვლილება და ახალ პროექტზე მუშაობის დაწყება, რომელიც აქტიურ ფაზაში 2018 წლის ბოლოს შევიდა.

3.2. მომხმარებლები

როგორც აღვნიშნეთ საწარმო საქმიანობს სამშენებლო სფეროში და აშენებს მრავალფუნქციურ სასტუმრო-საცხოვრებელ კომპლექსს. აპარტამენტების ძირითადი შემძენები არიან ფიზიკური პირები, როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. ქვემოთ მოცემულია ჩვენი მომხმარებლების სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით:



3.3. ეკოლოგიური საკითხები

საწარმოს საქმიანობა არ მოიცავს ეკოლოგიისთვის საფრთხის შემცველ ქმედებებს. კერძოდ, ძირითადი პრობლემა, რომელიც სამშენებლო სფეროში არსებობს გარემოს დაბინძურების კუთხით, არის აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალების გამოყენება. ესენი არის როგორც ძირითადი სამშენებლო (მაგ. სამშენებლო ბლოკი), ასევე მოსაპირკეთებელი მასალები (ლამინატი, საღებავი და ა.შ.). საწარმომ ძირითადი მომწოდებლებიდან გამოითხოვა მასალების სპეციფიკაციები, საიდანაც დგინდება, რომ ჩვენს მშენებლობაში გამოყენებული მასალები არ შეიცავენ აზბესტს.

3.4. მომავალი პერიოდების აქტივობები

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საწარმოს განვითარება არსებული ბიზნესის მომიჯნავე მიმართულებებში.

ამ ეტაპზე საწარმოს გააჩნია 3 მშენებარე ობიექტი, რომელთა ჯამური სასარგებლო ფართი შეადგენს 48 ათას კვადრატულ მეტრზე მეტს. საწარმო აპირებს ინოვაციებს სამშენებლო სფეროში, როგორიცაა crowdfunding (როდესაც ერთ ბინას რამოდენიმე მესაკუთრე ჰყავს).

2019 წლიდან საწარმომ დააფუძნა შვილობილი საწარმო - შპს ჰორიზონს ჩაქვი და დაიწყო კონცეფციის შემუშავება დაბა ჩაქვში, ზღვის სანაპიროზე, სადაც იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომელიც გაშენებული იქნება 1 ჰა მიწის ნაკვეთზე და მოიცავს დაახლოებით 50 ათას კვადრატულ მეტრ სასარგებლო ფართს.

4. საწარმოს რისკები

4.1. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკოლოგიური რისკები;
- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- საკანონმდებლო რისკი;
- კონკურენციის გაძლიერების რისკები;
- სამეურნეო ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები;
- ტექნიკური რისკები.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

აჭარის რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რაც ზემოქმედებას ახდენს შპს „ჰორიზონს ჯგუფი“-სთვის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელურობაზე, ძირითადად ხელსაყრელია. რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

პერიოდი	31.12.2017	31.12.2018
USD	2,5922	2,6766
EUR	3,1044	3,0701

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე შპს „ჰორიზონს ჯგუფი“-ს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკა შრომის უსაფრთხოებისა და სამშენებლო რეგულაციების დარგში, რომელიც 2019 წლიდან გამკაცრდა, თუმცა საწარმო მომზადებული შეხვდა ამ ცვლილებებს და სხვა თანაბარ პირობებში, სამომავლო გეგმებზე და მოლოდინებზე ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია.

4.2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.
3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

ლაშა ახალაია, დირექტორი

ქ. ბათუმი, 2019 წლის 2 დეკემბერი

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).



ლაშა ახალაია, დირექტორი

ქ. თბილისი, 2019 წლის 2 დეკემბერი